ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-0119233518**
თარიღი: **21/08/2019**
პინი: **3723**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2019 წლის 6 აგვისტოს, თქვენი N 17-01192182438-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, მინდელის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.05.006.096) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ფარგლებში (AR1668223) პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. ზეგავლენის შეფასება შეიცავს ხარვეზს, კერძოდ, საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების მონაცემები და სამუშაო მასალა ციფრულ რედაქტირებად ფორმატში:

- საფეხმავლო ინფრასტრუქტურის რუკის ფაილები (.shp ფორმატი);
- მოძრაობის ორგანიზების სქემა (.dwg/.shp)
- საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა და რეზერვი: ნაკადების ინტენსივობა (ასევე დაყვანილი), გამტარუნარიანობისა და რეზერვების გაანგარიშების ცხრილები (.xlsx);

შესაბამისად სამსახური, ამ ეტაპზე, მოკლებულია პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას.

სამსახური პოზიციას დააფიქსირებს ხარვეზის გამოსწორების და მასალის წარმოდგენის შემდეგ. მასალა შესაძლებელია აიტვირთოს განცხადებასთან ერთად, არქიტექტურის საქალაქო სამსახურის საიტზე, ან ჩაბარდეს CD დისკზე ჩაწერილი მასალები ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში და შესაბამის განცხადებაში მიეთითოს არქიტექტურის სამსახურში შეტანილი განცხადების ნომერი.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი